

საქმე მომზადებულია ლეილა ღარადეს მიერ მარკო სასოლისა და ივეტ ისარის ზედამხედველობით. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პლატფორმისთვის საქმე ქართულად თარგმნა გიორგი დვალაძემ.

[Case prepared by Ms. Leila Rharade under the supervision of Professor Marco Sassòli and Ms. Yvette Issar. Case has been translated in Georgian by Mr. George Dvaladze for www.shsplatforma.com]

A. რეგიონის რუკა

[წყარო: სომხეთისა და აზერბაიჯანის რუკა, ჯონათან რაინის სტატია რუსული და აზიური სკოლის სახელმძღვანელოდან, გამოქვეყნებულია 2015 წლის 24 ნოემბერს, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.sras.org/armenia>]



A. სარგსიანი აზერბაიჯანის წინააღმდეგ

[წყარო: ECtHR, *Sargsyan v. Azerbaijan*, GC, No. 40167/06, Judgment, 16 June 2015, სქოლიოები მოშლილია, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-162783>]

სარგსიანი აზერბაიჯანის წინააღმდეგ*

(საჩივარი No.40167/06)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი, 16 ივნისი 2015

[...]

პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო საჩივარი (N. 40167/06) აზერბაიჯანის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც წარმოდგენილ იქნა სომხეთის მოქალაქის, ზ-ნი მინას სარგსიანის („მომჩივანი“) მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის ("კონვენცია") 34-ემუხლის შესაბამისად 2006 წლის 11 აგვისტოს. [...]

3. მომჩივანი აცხადებდა, რომ უარი დაბრუნებულიყო სოფელ გულისტანში და ჰქონოდა წვდომა მის იქ არსებულ ქონებაზე, ისევე როგორც უარი მიეღო კომპენსაცია დანაკარგისათვის და უარი ჰქონოდა წვდომა სახლზე და გულისტანში არსებულ ნათესავთა საფლავებზე, წარმოადგენდა N. 1 ოქმის 1-ლი მუხლისა და კონვენციის მე-8 მუხლის განგრძობად დარღვევას. [...]

ფაქტები

I. საქმის გარემოებანი

A. ვითარება

14. სსრკ დაშლის მომენტისათვის მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი („მყაო“) წარმოადგენდა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის („აზერბაიჯანის სსრ“) ავტონომიურ ერთეულს. [...] იმ დროს ერთიანი საზღვარი მთიან ყარაბაღსა (სომხურად ცნობილი როგორც „არცახი“) და სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას („სომხეთის სსრ“) არ არსებობდა, რადგან მას ყოფდა აზერბაიჯანის ტერიტორია, ყველაზე ახლო ოლქი ლაჩინი, მათ შორის მიწის მცირე გრძივი მონაკვეთი ცნობილი როგორც „ლაჩნის დერეფანი“ რომელიც ათ კილომეტრზე ნაკლები განისა გახლდათ.

15. 1989 წლის სსრკ აღწერის მიხედვით „მყაო“-ს მოსახლეობა წარმოადგენდა დაახლოებით 189,000 ადამიანს, მათ შორის 77% სომეხი და 22% აზერბაიჯანელი ეთნიკური კუთვნილების მოსახლით, ხოლო რუსები და ქურთები კი უმცირესობას წარმოადგენდნენ.

16. 1988 წლის დასაწყისში „მყაო“-ს დედაქალაქში, სტეპანაკერტში, ისევე როგორც სომხეთის დედაქალაქ ერევანში, დაიწყო დემონსტრაციები მოთხოვნით მთიანი ყარაბაღი მიერთებოდა სომხეთს. 1988 წლის 20 თებერვალს საბჭოთა „მყაო“-მ, მიმართა სომხეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ და სსრკ უზენაეს საბჭოებს მოთხოვნით მისცემოდა უფლება „მყაო“-ს გამოყოფოდა აზერბაიჯანს და მიერთებოდა სომხეთს. მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა აზერბაიჯანის უზენაესი საბჭოს მიერ, მაშინ როდესაც მისმა მსგავსმა ორგანომ სომხეთში ხმა გაერთიანებას მისცა.

[...]

18. 1990 წლის დასაწყისში, კონფლიქტის ესკალაციის შედეგად ბაქოსა და მთიან ყარაბაღში შევიდნენ საბჭოთა ჯარები და მთიან ყარაბაღში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის შეტაკებები გრძელდებოდა, თუმცა საბჭოთა ჯარი იშვიათად ერთვებოდა კონფლიქტში.

*© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2015. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund).

19. 1991 წლის 30 აგვისტოს აზერბაიჯანმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირიდან. რაც მოგვიანებით ფორმალურად დასრულდა 1991 წლის 18 ოქტომბერს სახელმწიფო დამოუკიდებლობის კონსტიტუციური აქტის მიღებით. 1991 წლის 2 სექტემბერს „მყო“-ს საბჭოთა ნაწილმა გამოაცხადა „მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის“ შექმნა (შემდგომში „მყრ“), რომელიც შედგებოდა „მყო“-ს ტერიტორიითა და აზერბაიჯანის შაჰუმთანის რეგიონით და გამოაცხადეს, რომ ეს უკანასკნელი აღარ იმყოფებოდა აზერბაიჯანის იურისდიქციის ქვეშ. 1991 წლის 26 ნოემბერს აზერბაიჯანის პარლამენტმა გააუქმა მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის ავტონომიური სტატუსი. [...]

20. 1992 წლის დასაწყისში კონფლიქტი თანმიმდევრულად გადაიზარდა სრულმასშტაბიან ომში. 1993 წლის ბოლოს ეთნიკურმა სომეხმა ძალებმა ყოფილი „მყო“-ს თითქმის მთელ ტერიტორიასა და შვიდ მიმდებარე აზერბაიჯანულ რეგიონზე (ლაჩინი, ლეკბაიარი, ჯაზრაილი, გუზადლი და ზანგილანი, ასევე აღდამისა და ფიზულის მნიშვნელოვანი ნაწილი) მოიპოვეს კონტროლი.

21. 1994 წლის 5 მაისს სომხეთმა, აზერბაიჯანმა და „მყრ“-მ, რუსეთის მედიაციის შედეგად, ხელი მოაწერეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას (ბიშკეკის ოქმი). [...]

B. ამჟამინდელი მდგომარეობა

23. სომხეთის მთავრობის მიხედვით, „მყრ“ აკონტროლებს ყოფილი მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის 4, 061 კვ.კმ. მართალია სადავოა თუ რამდენად არის „მყრ“ მიერ ნაწილობრივ დაკავებული ორი ტერიტორია ოკუპირებული, იკვეთება, რომ შვიდი მიმდებარე რაიონის ოკუპირებული ტერიტორია მთლიანობაში შეადგენს 7,500 კვ. კმ-ს.

[...]

25. დღეისათვის კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების გზები არ არის მიღწეული. „მყრ“-ს თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობა არ არის აღიარებული არცერთი სახელმწიფოსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. 1994 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება პერიოდულად დაირღვა საზღვრის მიმდებარე ზონაში, რამაც გამოიწვია მრავალი სიცოცხლის დაკარგვა, ოფიციალურ პირთა რიტორიკა ისევ მტრულია. [...]

C. მომჩივანი და მის მიერ სავარაუდოდ ფლობილი საკუთრება გულისტანში

29. მომჩივანი ეთნიკურად სომეხია და აცხადებს, რომ იგი და მისი ოჯახი ცხოვრობდნენ სოფელ გულისტანში, შაჰუმთანის რაიონში, აზერბაიჯანის სსრ-ში. [...]

32. 1991 წლის აპრილ-მაისში სსრკ შინაგანი ჯარებმა და აზერბაიჯანის სსრ სპეციალური დანიშნულების ძალებმა („ომონი“) დაიწყეს სამხედრო ოპერაცია, რომლის გაცხადებული მიზანიც გახლდათ „პასპორტების შემოწმება“ და რეგიონში ადგილობრივი სომეხი მებრძოლების განიარაღება. თუმცა, სხვადასხვა წყაროს მიხედვით, მთავრობის ძალებმა, რომლებიც ოფიციალურ მიზეზს საბაზად იყენებდნენ, გააძევეს სომეხი მოსახლეობა შაჰუმთანის რაიონის რიგი სოფლებიდან, რითაც აიძულეს ისინი დაეტოვებინათ სახლები და თავი შეეფარებინათ მთიანი ყარაბაღის ან სომხეთისათვის. გაძევებას თან ახლდა დაკავება და ძალადობა სამოქალაქო მოსახლეობის მისამართით. 1992 წელს, როდესაც კონფლიქტი გადაიზარდა სრულმასშტაბიან ომში, შაჰუმთანის რეგიონი აზერბაიჯანის ძალების თავდასხმას დაექვემდებარა.

[...]

D. ვითარება გულისტანში

[...]

1. მხარეთა არგუმენტები

(a) მომჩივანი

44. გულისტანში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით მომჩივანი ამტკიცებდა, რომ სოფელზე კონტროლს ახორციელებდა აზერბაიჯანის რესპუბლიკა კერძოდ, რომ სოფელსა და მის შემოგარენში მათ ჰქონდა პოზიციები. [...]

45. საჩივრის დასაშვებობის განხილვამდე სამართალწარმოებისას, მომჩივანმა წარმოადგინა „მყრ“-ს ანონიმური მაღალჩინოსანის წერილობითი ჩვენება, დათარიღებული 2010 წლის 11 აგვისტოთი, სადაც ეს უკანასკნელი აღნიშნავდა, რომ გულისტანი იმყოფება აზერბაიჯანის სამხედრო ძალების *de facto* კონტროლის ქვეშ [...]. ამასთანავე, მომჩივანმა განაცხადა, რომ მისმა თანასოფლელებმა რამდენჯერმე სცადეს დაბრუნებულიყვნენ გულისტანში, მაგრამ ვერ შევიდნენ სოფელში, რადგან აღმოჩნდნენ აზერბაიჯანის ძალების მხრიდან გასროლის საფრთხის ქვეშ. [...]

V. საერთაშორისო სამართლის შესაბამისი დებულებანი

94. 1907 წლის 18 ოქტომბრის, ხმელეთზე ომის წესებისა და ჩვეულებების შესახებ ჰააგის რეგულაციების 42-ე მუხლი (შემდგომში „ჰააგის 1907 წლის რეგულაციები“) მოწინააღმდეგის მიერ ოკუპაციას განმარტავს შემდეგნაირად:

“ტერიტორია ოკუპირებულად ითვლება როდესაც იგი რეალურად იმყოფება მოწინააღმდეგის არმიის ხელისუფლების ქვეშ. ოკუპაცია ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ხორციელდება ან შესაძლებელია განხორციელდეს მოწინააღმდეგის ხელისუფლება.“

შესაბამისად, ოკუპაცია 1907 წლის ჰააგის რეგულაციების თანახმად არსებობს მაშინ, როდესაც სახელმწიფო ახორციელებს მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის რეალურ მართვას. რეალური ხელისუფლების განხორციელება დიდწილად მიღებულია როგორც ეფექტური კონტროლის სინონიმი.

ტერიტორია ან მისი ნაწილი სამხედრო ოკუპაციის ქვეშ ითვლება მაშინ, თუკი ადგილი აქვს შემდეგ ელემენტებს: სხვა ქვეყნის სამხედრო ჯარების არსებობა, რომლებიც ახორციელებენ ეფექტურ კონტროლს სუვერენული სახელმწიფოს ნებართვის გარეშე. ექსპერტების ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, უცხო ქვეყნის ჯარების ფიზიკური დასწრება წარმოადგენს ოკუპაციის *sine qua non* მოთხოვნას, ანუ, ოკუპაცია არ ითვლება შემდგარად, თუკი „ჩექმები ტერიტორიაზე“ არ არის, ანუ, საზღვაო ან სახმელეთო კონტროლის განმახორციელებელი ძალების მიერ სამხედრო ან საჰაერო ბლოკადა საკმარისი არ არის.

95. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წესები უშუალოდ არ ეხება სახლებსა თუ ქონებაზე წვდომის შეზღუდვას. თუმცა, ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენცია ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ (ჟენევის IV კონვენცია), 49-ე მუხლში არეგულირებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე იძულებით გადაადგილების შემთხვევებს [...].

ჟენევის მეოთხე კონვენციის 49-ე მუხლი ვრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მაშინ როდესაც კონფლიქტის მხარის ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებას არ არეგულირებს არცერთი კონკრეტული წესი. მიუხედავად ამისა, გადაადგილებულ პირთა უფლება „ნებაყოფლობით უსაფრთხოდ დაუბრუნდნენ სახლებსა თუ ჩვეულებრივ საცხოვრებელს როგორც კი აღარ იარსებებს გადაადგილების გამომწვევი მიზეზები“ მიიჩნევა ჩვეულებრივითი საერთაშორისო სამართლის წესად (იხ. ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წესს კვლევა, წესი 132) და ვრცელდება ნებისმიერ ტერიტორიაზე.

[...]

სამართალი

A. მხარეთა არგუმენტები

1. მომჩივანი

[...]

122. ალტერნატიულად, მომჩივანი ამტკიცებდა, რომ რომც დადასტურდეს, რომ აზერბაიჯანი არ ახორციელებს კონტროლს მოცემულ ტერიტორიაზე, მას მაინც აქვს პასუხისმგებლობა, რომელიც გამომდინარეობს კონვენციის 1-ლი მუხლიდან, განხორციელოს დიპლომატიური, ეკონომიკური, სამართლებრივი და სხვა ზომები, რათა დაიცვას მომჩივნის კონვენციური უფლებები (იხ. *Ilaşcu and Others v. Moldova and Russia* [GC], no. 48787/99, §§ 331 და 333, ECHR 2004-VII). [...]

2. მოპასუხე მთავრობა

123. მოპასუხე მთავრობა დაეთანხმა, რომ გულისტანი იმყოფება აზერბაიჯანის რესპუბლიკის საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიის საზღვრებში. 2014 წლის 5 თებერვალს წარმოდგენილ წერილობით მოსაზრებებში, მთავრობა ამტკიცებდა, რომ ვარაუდი, რომ სახელმწიფო ახორციელებს იურისდიქციას მთელ ტერიტორიაზე შესაძლოა შეიზღუდოს არამხოლოდ სხვა მხარეების მიერ ოკუპირებულ ზონებში, არამედ იმ მცირე ტერიტორიებზეც, რომელიც „მიუწვდომელია გარემოებებიდან გამომდინარე“. გულისტანი სწორედ ასეთ ტერიტორიას წარმოადგენს. იგი იმყოფება კონტაქტის ზონაში, ანუ, გარშემორტყმულია აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალებით ერთის მხრივ (ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით) და სომხეთით მეორეს მხრივ (სამხრეთით და დასავლეთით) და არ იმყოფება არცერთი მხარის ეფექტური კონტროლის ქვეშ. მათ ხაზი გაუსვეს, რომ სოფელი იმყოფება სომხეთის პოზიციებიდან სასროლ მანძილზე, მდინარიდან შემადლებულ ადგილზე. შესაბამისად, აზერბაიჯანის მთავრობას არ შეუძლია აღნიშნულ ტერიტორიაზე ლეგიტიმური ხელისუფლების განხორციელება.

[...]

3. სომხეთის მთავრობა, მესამე მხარე

125. სომხეთის მთავრობა ინარჩუნებდა საკუთარ პოზიციას მასზედ, რომ აზერბაიჯანს ჰქონდა სრული, ეფექტური კონტროლი გულისტანზე. მოიხმო რა მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრება და მტკიცებულება გულისტანში არსებულ ვითარებაზე [...], სომხეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებს ეკავათ სამხედრო პოზიციები უშუალოდ სოფელში და მის მიმდებარედ, მაშინ როდესაც „მერ“ ძალები განლაგებულნი იყვნენ ხეობის მეორე მხარეს.

B. სასამართლოს შეფასება

1. ტერიტორიაზე ნაგულისხმევი იურისდიქციის (იურისდიქციის პრეზუმპცია) შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა და პრინციპები

[...]

130. გამონაკლის შემთხვევებშიც კი, როდესაც სახელმწიფოს არ აქვს საშუალება განახორციელოს მმართველობა მისი ტერიტორიის ნაწილზე სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალების მხრიდან სამხედრო ოკუპაციის, ომის, აჯანყების ან მოცემულ ტერიტორიაზე სეპარატისტული რეჟიმის მოსვლის დროს, კონვენციის 1-ლი მუხლით სახელმწიფო არ წყვეტს იურისდიქციის ქონას მოცემულ ტერიტორიაზე (*Ilasçu and Others*, ციტირებული ზემოთ, § 333; იხ. აგრეთვე *Catan and Others v. Moldova and Russia* [GC], nos. 43370/04, 8252/05 და 18454/06, § 109, ECHR 2012 (ამონარიდები)).

131. თუმცა, იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფოს არ ეძლევა საშუალება განახორციელოს მმართველობა მისი ტერიტორიის ნაწილზე, კონვენციით ნაკისრი ვალდებულება იზღუდება პოზიტიური ვალდებულებების შესრულებით [...]. ეს ეხება როგორც ზომებს, რომელიც საჭიროა განხილულ ტერიტორიაზე კონტროლის აღსადგენად, და ამ მხრივ იურისდიქციის განხორციელების გამოხატულებას, ასევე ზომებს, რომლითაც ხდება მომჩივნის ინდივიდუალური უფლებების პატივისცემის უზრუნველყოფა [...]. პირველ ნაწილში, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება დაამყაროს ან განაახლოს სუვერენიტეტი ტერიტორიაზე და თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც ხელს უწყობს სეპარატისტულ რეჟიმს [...]. მეორე ნაწილის მიხედვით კი, სახელმწიფომ უნდა განახორციელოს მართლმსაჯულებითი, პოლიტიკური ან ადმინისტრაციული ზომები, რათა დაიცვას მომჩივნის ინდივიდუალური უფლებები [...].

2. მოცემული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

(a) სასამართლოს მიერ ფაქტების დადგენა

[...]

134. სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეები თანხმდებიან რამდენიმე პუნქტზე: სადავო არ არის, რომ გულისტანი მდებარეობს აზერბაიჯანის საერთაშორისო აღიარებულ საზღვრებში. სოფელი მდებარეობს ინგლისური ასო “V” ფორმის ველზე მდინარე ინძაჩაის ჩრდილოეთ ნაპირზე. აზერბაიჯანის სამხედრო პოზიციები განლაგებულია მდინარის ჩრდილოეთით, ხოლო „მერ“ სამხედრო პოზიციები კი მდინარის სამხრეთითაა. სოფელში არ არიან სამოქალაქო პირები. მინიმუმ სოფლის გარშემო ტერიტორია დანადგებულია და ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ხშირად ირღვევა.

135. მხარეთა მოსაზრებები განსხვავდება რამდენიმე საკითხზე. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სხვაობა გვხვდება მოსაზრებას შორის თუ რამდენად არის აზერბაიჯანის სამხედრო პოზიციები განლაგებული სოფელში. დისტანცია ორივე მხარის სამხედრო პოზიციებსა და სოფელს შორის და ის, თუ რამდენად არის დანადგული თავად სოფელი, წარმოადგენს სადავო საკითხებს.

[...]

137. რაც შეეხება სადავო საკითხს თუ რამდენად არის აზერბაიჯანის სამხედრო ძალა უშუალოდ სოფელში, სასამართლო მიუთითებს, რომ არსებობს რამდენიმე ელემენტი, რომელიც მიუთითებს, რომ იქ მართლაც არის გამაგრებული აზერბაიჯანის პოზიციები და შესაბამისად იმყოფებიან აზერბაიჯანელი სამხედროებიც. [...] იმის გამო, რომ სოფელი მდებარეობს მდინარის ჩრდილოეთ ნაპირზე და იქ მხოლოდ აზერბაიჯანის ძალებია განთავსებული, სასამართლო სათანადოდ დადგენილად მიიჩნევს, არსებულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით, რომ მოცემული სანგრები წარმოადგენს აზერბაიჯანის პოზიციების ნაწილს. [...]

(b) ფაქტების სამართლებრივი მნიშვნელობის შეფასება

139. იმის გათვალისწინებით, რომ გულისტანი მდებარეობს აზერბაიჯანის საერთაშორისო აღიარებულ საზღვრებში, მასზე ვრცელდება იურისდიქციის პრეზუმფცია (იხ. *Ilascu and Others*, ციტირებული ზემოთ, § 312). სასამართლოს აზრით, მთავრობამ უნდა დაადასტუროს, რომ არსებობს გამონაკლისი გარემოებანი, რომელიც ზღუდავს მის პასუხისმგებლობას კონვენციის 1-ლი მუხლით.

140. სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შეზღუდვა მის ტერიტორიაზე პოზიტიური ვალდებულებების განხორციელების ფარგლებში მიღებულია მხოლოდ იმ ტერიტორიასთან მიმართებაში, სადაც სხვა სახელმწიფო ან სეპარატისტული რეჟიმი ახორციელებს ეფექტურ კონტროლს. [...]

142. წინამდებარე საქმე განსხვავდება ზემოთ განხილული საქმეებისაგან: გულისტანი მდებარეობს აზერბაიჯანისა და „მერ“ ძალების ბრძოლის ხაზს შორის და სადავო ახორციელებს თუ არა აზერბაიჯანი ეფექტურ კონტროლს სოფელზე. [...]

143. ამ ეტაპზე სასამართლო გამოსადეგად მიიჩნევს მოიხმოს, რომ აზერბაიჯანმა კონვენციის რატიფიცირებისას გააკეთა დეკლარაცია, სადაც აღნიშნა, რომ „არ შეუძლია უზრუნველყოს კონვენციის დებულებების გამოყენება სომხეთის რესპუბლიკის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მოცემული საქმის დასაშვებობის განხილვისას, სასამართლომ დაადგინა, რომ დეკლარაცია არ ზღუდავს კონვენციის ტერიტორიულ გამოყენებას აზერბაიჯანის საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიის ნაწილზე და არც ჯეროვანი დათქმის მოთხოვნებს აკმაყოფილებს [...].

144. სასამართლო აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით (განსაკუთრებით 1907 წლის ჰააგის რეგულაციების 42-ე მუხლის გათვალისწინებით) ტერიტორია ოკუპირებულად ითვლება, როდესაც იგი რეალურად ხვდება მოწინააღმდეგის არმიის ხელისუფლების ქვეშ, სადაც „რეალური ხელისუფლება“ დიდწილად ითარგმნება როგორც ეფექტური კონტროლი და ითხოვს ისეთი ელემენტების არსებობას, როგორც გახლავთ უცხო ჯარების არსებობა და მათ მიერ, სუვერენული სახელმწიფოს ნების წინააღმდეგ, ეფექტური კონტროლის განხორციელება. წარმოდგენილი მასალისა და ზემორე დადგენილი ფაქტების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ გულისტანი არ არის უცხო სახელმწიფოს ძალების მიერ ოკუპირებული და მათ ეფექტური კონტროლის ქვეშ არ იმყოფება, რადგან ამისათვის საჭირო იქნებოდა გულისტანში უცხო ჯარების არსებობა.

145. როგორც ჩანს, მოპასუხე მთავრობა ადარც ამტკიცებდა თავდაპირველ პოზიციას მასზედ, რომ მათ გულისტანზე ეფექტური კონტროლი არ ჰქონდათ. არამედ ისინი დავობდნენ, რომ იგი წარმოადგენდა სადავო ტერიტორიას, ხაზს უსვამდნენ რა იქ ნაღმების არსებობას, რომელიც გარშემორტყმული გახლდათ მოწინააღმდეგის სამხედრო პოზიციებით მდინარის ყველა მხარეს და იმყოფებოდა სომხეთის ძალების მხრიდან სასროლ მანძილზე.

146. რეალურად მოპასუხე მთავრობა დავობდა, რომ სასამართლოს მიერ *Ilascu and Others* და შემდგომ საქმეებში დადგენილი პრაქტიკა, რომელიც აღიარებს, რომ სახელმწიფო კარგავს ეფექტურ კონტროლს მისი ტერიტორიის ნაწილზე სხვა სახელმწიფოს ან სეპარატისტული რეჟიმის სასარგებლოდ, წარმოადგენს შეზღუდულ პასუხისმგებლობას კონვენციით, ასევე უნდა გამოიყენებოდეს სადავო ზონებზე ან, როგორც მათ აღნიშნეს 2014 წლის 5 თებერვალს „ზონებზე, რომელიც მიუწვდომელი შეიქნა გარემოებების გამო“.

[...]

148. მოლდოვის წინააღმდეგ ზემორე ციტირებულ საქმეებში იმის დაშვება, რომ ტერიტორიულ სახელმწიფოს ჰქონდა მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობა კონვენციის მიხედვით, კომპენსირებული გახლდათ იმის დადგენით, რომ კონვენციის ხელშემკვრელი სხვა სახელმწიფო, გამონაკლისის სახით, ახორციელებდა იურისდიქციას მისი ტერიტორიის მიღმა და, შესაბამისად, მას ეკისრებოდა კონვენციით დადგენილი პასუხისმგებლობა. განსხვავებით ხსენებულ საქმეთაგან, მოცემულ შემთხვევაში ვერ დადგინდა, რომ გულისტანი ოკუპირებული გახლავთ სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ ან რომ მასზე კონტროლს სეპარატისტული რეჟიმი ახორციელებს. ასეთ შემთხვევებში, სასამართლო, რათა თავიდან აიცილოს კონვენციისეული დაცვის ვაკუუმი, არ მიიჩნევს, რომ მოპასუხე მთავრობამ მოახერხა იმის დამტკიცება, რომ ადგილი აქვს ისეთ გამონაკლის გარემოებებს, რომელიც კონვენციით პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს მას.

[...]

150. წინამდებარე საქმეში არსებული ვითარება უფრო *ასანიძის* საქმის [...] მსგავსია, იმდენად რამდენადაც სამართლებრივად აზერბაიჯანის მთავრობა ახორციელებს იურისდიქციასა და აკისრია სრული კონვენციური პასუხისმგებლობა, წარმოადგენს რა ტერიტორიულ სახელმწიფოს, თუმცა, პრაქტიკაში, შესაძლოა იგი სირთულეების წინაშე იმყოფებოდეს გულისტანის ტერიტორიაზე ხელისუფლების განხორციელების პროცესში. სასამართლოს

აზრით მოცემული სირთულეები გათვალისწინებულ უნდა იქნას მომჩივნის მიერ გასაჩივრებული მოქმედებებისა თუ უმოქმედობის პროპორციულობის შეფასების განხილვისას.

151. დასკვნის სახით, სასამართლო ადგენს, რომ გასაჩივრებული სავარაუდო დარღვევის ფაქტები ხვდება აზერბაიჯანის „იურისდიქციაში“ კონვენციის 1-ლი მუხლის მნიშვნელობით და შესაძლოა წარმოშობდეს მომჩივანი მთავრობის პასუხისმგებლობას. [...]

IV. კონვენციის N. 1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის სავარაუდო დარღვევა

152. მომჩივანი აცხადებდა, რომ უარი მის უფლებაზე დაბრუნებულიყო სოფელ გულისტანში და ჰქონოდა წვდომა, კონტროლი, გამოეყენებინა და ესარგებლა მისი ქონებით ან მიეღო კომპენსაცია მისი დაკარგვის გამო, წარმოადგენდა კონვენციის N.1 ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას. ეს უკანასკნელი აღნიშნავს შემდეგს:

„ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრების შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.“

ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა თუ მოსაკრებლების ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.

[...]

B. აქვს თუ არა ადგილი N. 1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის განგრძობად დარღვევას

1. მხარეთა არგუმენტები

(a) მომჩივანი

207. მომჩივანი აცხადებდა, რომ 2002 წელს კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ მოპასუხე მთავრობამ არ განახორციელა არანაირი ზომა რათა აღედგინა მის მსგავსი დევნილებისთვის უფლებები, კერძოდ კი უზრუნველყო მათი უფლება დაბრუნებულიყვნენ სახლებში, ჰქონოდათ წვდომა მიწაზე ან მიეღოთ შესაბამისი კომპენსაცია. მან აღნიშნა, რომ ლტოლვილთა და დევნილთა უფლება ნებაყოფლობით დაბრუნებულიყვნენ ან მიეღოთ კომპენსაცია მუდმივად იყო ნახსენები საერთაშორისო დოკუმენტებში, მათ შორის 2007 წლის მადრიდის საბაზისო პრინციპებში, რომელიც ეუთოს მინსკის პროცესის ფარგლებში იქნა შემუშავებული [...], გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და ევროპის პარლამენტის რეზოლუციებში.

208. მთავრობის ვალდებულებების ბუნებასა და მასშტაბთან მიმართებაში მომჩივანი აცხადებდა, რომ სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის გაეროს „ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ქონების რესტიტუციის შესახებ პრინციპები“ ცნობილი როგორც პინიეროს პრინციპები [...]. მომჩივნის აზრით, მთავრობას გააჩნდა რიგი მექანიზმები. მათ შორის ქონების აღმუხსველი ორგანოს შექმნა და პროცესის გატარება, რომელიც დევნილებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს მისცემდა საშუალებას ხელახლა დაედგინათ საკუთრების უფლება ომამდელ ქონებაზე და წარედგინათ მოთხოვნა მის დაბრუნებაზე. შემდგომი ნაბიჯი შეიძლება ყოფილიყო გამყოფი ზონის შექმნა, რომლის ფარგლებშიც დაიდებოდა შეთანხმება მოწინააღმდეგე მხარეების მშვიდობიანი ზონიდან გამოყვანის შესახებ, რასაც მოყვებოდა დემილიტარიზებული ზონის შექმნა საერთაშორისო მშვიდობიანობის დამცველი ძალების ხელისუფლების ქვეშ. მოცემული ზონა შემდგომ გახდებოდა პირველი ნაწილი, სადაც მოხდებოდა დაბრუნება. [...]

(b) მოპასუხე მთავრობა

211. [...] თუკი სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობას ეკისრებოდა სრული პასუხისმგებლობა კონვენციის მიხედვით, მთავრობა აღიარებდა, რომ მომჩივანისათვის გულისტანზე წვდომაზე უარი შესაძლოა განხილულ იქნას, ჩარევად N. 1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით დადგენილ უფლებებში.

212. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სამოქალაქო პირისადმი უარი ჰქონოდა წვდომა გულისტანზე, მიუხედავად მისი ეროვნებისა, გამართლებული იყო უსაფრთხოების ვითარებით მოცემულ ზონაში. [...] გულისტანზე წვდომა, რომელიც განლაგებული იყო სამხედრო ოპერაციების ზონაში, აკრძალული იყო თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, ხოლო ამ უკანასკნელის გასაჯაროება კი მთავრობას არ შეეძლო მისი მკაცრად კონფიდენციალური ბუნების გამო. [...] ზემოთ განხილული მისიის შესრულებისას, აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალები ვალდებულნი იყვნენ დაეცვათ კონვენცია და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. შესაბამისად, ისინი პასუხისმგებელნი იყვნენ სამოქალაქო პირთა მიმართ შესაძლო ზიანის შემცირებაზე რასაც ახორციელებდნენ სახიფათო ზონებში შესვლის აკრძალვით.

რეალურად, სოფელში სამოქალაქო პირთა შესვლის დაშვება, შესაძლოა განხილულ იქნას აზერბაიჯანის მიერ კონვენციის მე-2 მუხლით განსაზღვრული სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულების დარღვევად. ნათელი იყო, რომ გულისტანი სახიფათო ზონას წარმოადგენდა იქ არსებული ნაღმებისა და საომარი მოქმედებების საფრთხის გათვალისწინებით.

[...]

2. სასამართლოს შეფასება

[...]

(c) რამდენად იყო სამართლიანი ბალანსი დაცული საზოგადოებრივი ინტერესის მოთხოვნებსა და მომჩივნის მიერ საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებას შორის

227. [...] სასამართლო იმეორებს, რომ N. 1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის სტრუქტურა, მთლიანობაში, ასახავს ბალანსის საჭიროებას. კერძოდ, აუცილებელია არსებობდეს გონივრული პროპორციული კავშირი გამოყენებულ ზომებსა და მისაღწევი მიზნისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყენებულ ზომებს შორის, მათ შორის იგულისხმება პირებისათვის საკუთრების ჩამორთმევის ზომაც. [...]

230. მთავრობა აცხადებდა, რომ გულისტანში შესვლის აკრძალვა სამოქალაქო პირებისათვის გამართლებული იყო სოფელში და მის ირგვლივ არსებული სახიფათო ვითარებით. მოკლედ მოიხმო რა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით დაკისრებული ვალდებულებანი, მთავრობა დიდწილად დაეფუძნა თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს და კონვენციის მე-2 მუხლით დაკისრებულ ვალდებულებას დაიცვან ადამიანის სიცოცხლე ნაღმების ამოქმედებისა თუ სამხედრო მოქმედებებისაგან გამომდინარე საფრთხეებიდან.

231. მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე დეტალური არგუმენტი იმის გასამყარებლად, რომ გულისტანში სამოქალაქო პირებისათვის შესვლაზე აკრძალვა ეფუძნებოდა საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს. სასამართლო მიუთითებს, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი შეიცავს წესებს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებითი გაუქმების შესახებ, მაგრამ პირდაპირ არ ეხება იძულებით გადაადგილებულ პირთა წვდომას სახლსა თუ სხვა ქონებაზე. ჟენევის მეოთხე კონვენციის 49-ე მუხლი [...] კრძალავს ინდივიდუალურ თუ მასობრივ იძულებით ტრანსფერს ან დეპორტაციას ოკუპირებულ ტერიტორიაზე და მის გარეთ და უშვებს ევაკუაციას კონკრეტულ ტერიტორიაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამას ითხოვს მოსახლეობის უსაფრთხოება ან უზენაესი სამხედრო საჭიროება. ასეთ შემთხვევებში, გადაადგილებულ პირებს აქვთ უფლება დაბრუნდნენ როგორც კი ტერიტორიაზე შეწყდება სამხედრო მოქმედებანი. თუმცა, მოცემული წესები არ ვრცელდება წინამდებარე კონტექსტზე, რადგან იგი ვრცელდება მხოლოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მაშინ როდესაც გულისტანი მდებარეობს მოპასუხე მთავრობის საერთაშორისოდ აღიარებულ ტერიტორიაზე.

[...]

233. მის წინაშე წარმოდგენილი მასალის საფუძველზე, სასამართლომ დაადგინა, რომ გულისტანი მდებარეობს სამხედრო მოქმედებების ზონაში. მის გარშემო მინიმუმ ერთი ტერიტორია დანაღმულია და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებანი ხშირად ირღვევა. სადავო არ არის და არც მითითება გაკეთებულა სასამართლოს წინაშე მასზედ, რომ ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა კონვენციის ძალაში შესვლიდან დღევანდელ დღემდე. ნებისმიერ შემთხვევაში, არ იკვეთება ვითარების გაუმჯობესება. სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი მასალა მიუთითებს სამხედრო მოქმედებების ზრდაზე და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევაზე. სასამართლო იზიარებს, რომ სამოქალაქო პირთათვის, მათ შორის მომჩივნისათვის, გულისტანზე წვდომის შეზღუდვა გამართლებულია უსაფრთხოების გარემოებებით, კერძოდ კი შეზღუდვა დანაღმულ ზონაზე და სამოქალაქო პირების დაცვა მოცემულ ზონაში არსებული საფრთხეებისაგან (იხ. *mutatis mutandis, Oruk v. Turkey*, no. 33647/04, §§ 58-67, 4 თებერვალი 2014, რომელიც ეხებოდა სახელმწიფოს ვალდებულებას კონვენციის მე-2 მუხლით მიიღოს სათანადო ზომები სამხედრო მოქმედებების ზონების მახლობლად მცხოვრები სამოქალაქო პირების ამუნიციის ამოქმედების საფრთხისაგან დასაცავად). არარეალური იქნებოდა ამჟამად მოვთხოვოთ აზერბაიჯანის მთავრობას უზრუნველყოს მომჩივნის მიერ გულისტანში არსებულ საკუთრებაზე წვდომა ან მისი ხელახლა დაუფლება იმ ფაქტისდა მიუხედავად, რომ იგი მდებარეობს სამხედრო მგრძობიარე ზონაში [...].

234. თუმცა, სასამართლო მიიჩნევს, რომ მანამდე, სანამ საკუთრებაზე წვდომა შეუძლებელია, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება მიიღოს ალტერნატიული ზომები საკუთრების უფლებების დასაცავად. ამ მხრივ სასამართლო მოიხმობს საქმეს *Doğanand Others* რომელიც ეხებოდა სოფლის მაცხოვრებლების შიდა გადაადგილებას, სადაც სასამართლომ დეტალურად განიხილა თურქეთის მთავრობის მიერ მიღებული ზომები, სოფლის მაცხოვრებლებისათვის დაბრუნების გაიოლების მიზნით ან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის

ალტერნატიული საცხოვრებლისა თუ დახმარების სხვა ფორმების შეთავაზების გზით [...]. სასამართლოს სურს ხაზი გაუსვას, რომ ალტერნატიული ზომების მიღების ვალდებულება არ არის დამოკიდებული იმაზე შესაძლოა თუ არა სახელმწიფოს დადანიშნულება უშუალოდ გადაადგილების გამო. საქმეში *Doğan and Others*, სასამართლომ აღნიშნა, რომ მას არ შეეძლო დაედგინა მომჩივანთა გადაადგილების ზუსტი მიზეზები და შესაბამისად, შეიზღუდა თავი საჩივრის განხილვით, რომელიც ეხებოდა საკუთრებაზე წვდომის შეზღუდვას [...] ის, თუ რა ზომების მიღება არის საჭირო, დამოკიდებულია საქმის გარემოებაზე.

[...]

241. დასკვნის სახით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნის შეზღუდული წვდომა გულისტანში არსებულ საკუთრებაზე - მთავრობის მხრიდან, საკუთრების უფლების აღდგენისა თუ სარგებლობის შეზღუდვის კომპენსაციის მიზნით ალტერნატიული ზომების მიღების გარეშე - წარმოადგენდა და დღემდე გახლავთ მომეტებული ტვირთი მომჩივნისათვის.

242. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა N.1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით დაცული მომჩივნის უფლებების განგრძობად დარღვევას.

[...]

აღნიშნულის საფუძველზე, სასამართლო

2. ადგენს, თხუთმეტი ხმით ორის წინააღმდეგ, რომ გასაჩივრებული საკითხები ხვდება აზერბაიჯანის რესპუბლიკის იურისდიქციაში და რომ ადგილი აქვს მოპასუხე მთავრობის პასუხისმგებლობას კონვენციის მიხედვით; არ აკმაყოფილებს მოპასუხე მთავრობის პირველად პრეტენზიას იურისდიქციისა და პასუხისმგებლობის არარსებობის შესახებ;

[...]

5. ადგენს, თხუთმეტი ხმით ორის წინააღმდეგ, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის N.1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის განგრძობად დარღვევას;

[...]

მოსამართლე იუდეიკსკას აზრი

[...]

(2) “ეფექტური კონტროლი”

[...]

თუკი საქმეში *ჭირაგოვი და სხვები სომხეთის წინააღმდეგ (Chiragov and Others v Armenia)* სასამართლომ შეაფასა (ლაჩინის) დასახლებული რეგიონის უკანონო ოკუპაციის სტანდარტული შემთხვევა, რომელსაც სომხეთის მხარდაჭერით (*occupation bellica* მარეგულირებელი ქენევის კონვენციებისა და ჰააგის რეგულაციებზე სასამართლომ სწორედ ამიტომ მიუთითა) სეპარატისტული რეჟიმი ახორციელებდა, მოცემულ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვისაუბრებთ სახელმწიფოს მიერ “შესაბამის ტერიტორიასა და მის მაცხოვრებლებზე ეფექტურ კონტროლის განხორციელებაზე”, ვინაიდან სრულიად გულისტანის ტერიტორიაზე 1994 წლიდან არცერთი მაცხოვრებელი აღარ იმყოფება, ამრიგად შეუძლებელია “ფუნქციური” იურისდიქციის განხორციელება.

შესაძლებელია კი, ამ სიტყვის რაიმე მნიშვნელობით, ხელისუფლების განხორციელება, წინა ხაზის ერთ-ერთ მხარეს განლაგებულ დანადგულ ტერიტორიაზე, რომელსაც ორივე მხრიდან შეიარაღებული ძალები იცავენ და რომელზეც ვერავინ ვერასდროს შევა?!

[...]

დასაწყისად, რომ დიდ პალატას არ ჰქონდა საკმარისი გამბედაობა რომ აღნიშნა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს *sui generis* შემთხვევასთან, სადაც ნებისმიერი ოკუპანტი ძალის მიერ გულისტანზე “ეფექტური კონტროლის” განუხორციელებლობა ავტომატურად არ ნიშნავს, რომ განსახილველ ტერიტორიაზე აზერბაიჯანი ახორციელებს ეფექტურ კონტროლს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პრაქტიკაში მსგავსი შემთხვევა არ არსებობს. [...]

მოსამართლეების პინტოსა და ალბუქერქეს განსხვავებული აზრი

I. შესავალი

1. [...] როგორც საქმეში *ჭირაგოვი და სხვები სომხეთის წინააღმდეგ (Chiragov v Armenia)*, აქაც, საქმე ეხება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესაბამისობას ადამიანის უფლებების ევროპულ კონვენციასთან (კონვენცია); სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობამ ამ საკითხს გვერდი აუარა.

[...]

V. პასუხისმგებლობა ცეცხლის შეწყვეტის ხაზსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ჩადენილი ადამიანის უფლებების დარღვევებისთვის

[...]

B. დაცვის ვალდებულება საერთაშორისო სამართალში

[...]

(c) *Opinio juris*

32. [...] დაუშვებელია სამოქალაქო მოსახლეობის თვითნებურად გადაადგილება თავიანთი სახლებიდან ან მათთვის მუდმივი საცხოვრებლის შეცვლა, თუკი ეს განპირობებული არ არის სამხედრო აუცილებლობის აბსოლუტური მოთხოვნებით (ჟენევის კონვენციების 1977 წლის II დამატებითი ოქმის მე-17 მუხლი, საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის შესახებ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ მომზადებული კვლევის 129-ე და 130-ე წესები, და იძულებით გადაადგილების შესახებ 1998 წლის 11 თებერვლის სახელმძღვანელო პრინციპების (E/CN.4/1/1998/53/Add.2), მე-6 პრინციპი). სამოქალაქო მოსახლეობის იძულებით გადაადგილების შემთხვევაში, თავიანთ სახლებში დაბრუნებისა და საკუთრებით სარგებლობის უზრუნველყოფა დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს იმ მომენტიდან, როდესაც მათი გადაადგილების მიზეზები აღარ არსებობს (1949 წლის ჟენევის IV კონვენციის 49-ე მუხლი და საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის შესახებ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ მომზადებული კვლევის 132-ე წესი).

[...]

დისკუსია:

I. კონფლიქტისა და ტერიტორიების კლასიფიკაცია

1. (44-148 პარაგრაფები)

a. სახეზეა თუ არა შეიარაღებული კონფლიქტი გულისტანში? თუ კი, ვინ არიან შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები და რა სახის შეიარაღებული კონფლიქტია? (GC I-IV, მე-2 და მე-3 მუხლები) რა სამართალი გამოიყენება? საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი? ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი? არის თუ არა გულისტანი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით ოკუპირებული ტერიტორია? თუ არა, რა წესები გამოიყენება? (იხილეთ პარაგრაფები 44-45, 94, 122-125, 143-148)

b. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, იმისთვის რომ ოკუპანტ ძალად ჩაითვალოს, აუცილებელია თუ არა რომ სახელმწიფოს ადგილზე ჰყავდეს შეიარაღებული ძალები? რომ განგრძობითად ითვლებოდეს ოკუპანტ ძალად? აუცილებელია თუ არა შესაბამის ტერიტორიაზე სულ ცოტა სახმელეთო ჯარების ადგილზე ყოლა მაინც, რომელზეც ეს სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს? ეფექტურ კონტროლს? ზოგად კონტროლს? რა აზრისაა ამ საკითხზე ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო? მოსამართლე იუდევისკა? (HR, 42-ე მუხლი. პარაგრაფები, 135, 144, მოსამართლე იუდევისკას მოსაზრება)

c. რა კრიტერიუმს იყენებს ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო იმის დასადგენად, ახორციელებს თუ არა კონვენციის ხელშემკვრელი მხარე ეფექტურ კონტროლს გულისტანზე? შესაძლებელია თუ არა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, რომ შეიარაღებული კონფლიქტის არცერთი მხარე არ ახორციელებდეს კონტროლს ტერიტორიაზე?

d. როდის დასრულდება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოქმედება საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებში? არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებში? ოკუპირებულ ტერიტორიებზე? (GC IV, მე-6 მუხლი; P I, მე-3 მუხლი)

II. იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები დაბრუნებისა და საკუთრებით სარგებლობის კუთხით

2. (პარაგრაფები 95-241)

- a. როგორ განიმარტება საკუთრება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით? ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით? ამ კუთხით, რომელ წესებს იყენებს ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო? (პარაგრაფები 95, 152, 208 და 241)
- b. კანონიერი იყო თუ არა აზერბაიჯანიდან სომხების იძულებით გადაადგილება? რა სამართლებრივ საფუძველს იყენებს სასამართლო გულისტანთან მიმართებით? რატომ მიიჩნია სასამართლო, რომ ჟენევის IV კონვენციის 49-ე მუხლი არ გამოიყენება? (პარაგრაფები 95, 231-241)
- c. არსებობს თუ არა იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლება “ნებაყოფლობით და უსაფრთხოდ დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში ან მუდმივ საცხოვრებელ ადგილას, როგორც კი იძულებით გადაადგილების მიზეზები აღარ არსებობს”? საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში? ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალში? (95-ე პარაგრაფი, მოსამართლე პინტოსა და ალბუქერქეს განსხვავებული აზრი, 32-ე პარაგრაფი; საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის შესახებ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ მომზადებული კვლევის 32-ე წესი)
- d. შესაძლებელია თუ არა, რომ საგანგებო მდგომარეობის არსებობამ გაამართლოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები? საკუთრებაზე წვდომის კუთხით არსებული შეზღუდვები? საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით? ადამიანის უფლებების ევროპული სამართლის პრაქტიკის მიხედვით? შესაძლებელია თუ არა, რომ საგანგებო მდგომარეობამ გაამართლოს ცალკეულ ზონებზე წვდომის კუთხით არსებული შეზღუდვები? რა შემთხვევაში იქნება სახელმწიფოს მხრიდან ასეთი შეზღუდვები გამართლებული? (233-241 პარაგრაფები; HR, 53-ე მუხლი; GC IV, 53-ე მუხლი; საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის შესახებ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ მომზადებული კვლევის 52-ე წესი)

C. ECtHR, ჭირაღოვი და სხვები სომხეთის წინააღმდეგ

[წყარო: ECtHR, *Case of Chiragov v Armenia*, GC, No. 13216/05, Judgment, 16 June 2015, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-162781>]

ჭირაღოვი და სხვები სომხეთის წინააღმდეგ*

(საჩივარი No. 13216/05)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი, 16 ივნისი 2015

პროცედურა

1. საქმისწარმოების დაწყების საფუძველი იყო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ კონვენციის (კონვენცია) 34-ე მუხლის საფუძველზე აზერბაიჯანის ექვსი მოქალაქის, ბატონი ელკან ჭირაღოვის, ბატონი ადიშირინ ჭირაღოვის, ბატონი რამიზ გებრაილოვის, ბატონი აკიფ ჰასანოვის, ბატონი ფეხრედინ ფაშაევისა და ბატონი ქარაცა გაბრაილოვის (განმცხადებლები) მიერ სომხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ სასამართლოსთვის 2005 წლის 6 აპრილს წარდგენილი განაცხადი (#13216/05). [...]

3. განმცხადებლები კონკრეტულად ამტკიცებდნენ, რომ ხელი ეშვებოდათ მოპასუხე სახელმწიფოს მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ლაჩინის რაიონში და შესაბამისად ისინი ვერ სარგებლობდნენ იქ განთავსებული საკუთარი ქონებითა და სახლებით და მათ არანაირი კომპენსაცია არ მიუღიათ თავიანთი დანაკარგებისთვის. მათ განაცხადეს, რომ ეს უტოლდებოდა კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლისა და კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. [...]

[...]

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

A. წინასიტორია

[...]

18. 1992 წლის დასაწყისში კონფლიქტი ეტაპობრივად გადაიზარდა სრულმასშტაბიან ომში. ეთნიკურმა სომხებმა დაიპყრეს რამდენიმე აზერბაიჯანული სოფელი, რაც დასრულდა რამდენიმე ასეული ადამიანის სიკვდილითა და მოსახლეობის რეგიონიდან გასვლით.

19. ლაჩინის რაიონზე, კერძოდ კი ქალაქ ლაჩინზე, მრავალი თავდასხმა განხორციელდა. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ თავდასხმები ხორციელდებოდა როგორც მთიანი ყარაბაღის ისე სომხეთის რესპუბლიკის სამხედრო ძალების მხრიდან. [...]

20. 1992 წლის 17 მაისს, გააცნობიერეს რა, რომ სამხედრო ძალები სწრაფად უახლოვდებოდნენ ლაჩინს, სოფლის მაცხოვრებლები გაიქცნენ. მომდევნო დღეს ქალაქი ლაჩინი დაიპყრეს სომხური წარმომავლობის ძალებმა. [...]

[...]

22. Human Rights Watch (HRW) -ის ანგარიშის ("შვიდწლიანი კონფლიქტი მთიან ყარაბაღში", 1994 წლის დეკემბერი) თანახმად, ლაჩინის რაიონის ალებას შედეგად მოყვა 30 000 აზერბაიჯანელის იძულებით გადაადგილება, რომელთაგან დიდი ნაწილი ქურთული წარმომავლობის იყო.

23. ლაჩინის ალების შემდეგ ეთნიკური სომხებისგან შემდგარმა სამხედრო ძალებმა განაგრძეს დამატებით მთიანი ყარაბაღის მიმდებარედ ოთხი აზერბაიჯანული რაიონის (ქელბაიანი, ჯაბრაილი, გუზადლი და ზანგილანი) და კიდევ ორი სხვა რაიონის (აგდამი და ფიზული) მნიშვნელოვანი ნაწილის დაპყრობა.

* © ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2015 წელი. თარგმანი მომზადებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა მიზნობრივი ფონდის მიერ (www.coe.int/humanrightstrustfund).

[...]

B. ამჟამინდელი ვითარება

[...]

27. მთიანი ყარაბაღის დღევანდელი მოსახლეობის მიახლოებითი რაოდენობა მერყეობს 120 000-იდან 145 000-მდე, მათი 95% სომხური წარმომავლობისაა. ფაქტიურად აზერბაიჯანლები იქ არ არიან. ლაჩინის რაიონში 5 000-დან 10 000-მდე სომეხი ცხოვრობს.

[...]

D. ურთიერთობა სომხეთის რესპუბლიკასა და “მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკას” შორის

[...]

1. სამხედრო საკითხები

[...]

60. [...] HRW-ის ანგარიშში წარმოდგენილია მთელი რიგი ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს მთიან ყარაბაღში და მიმდებარე ტერიტორიებზე სომხეთის რესპუბლიკის არმიის მონაწილეობას [...]. ფაქტიურად სომხეთმა პოლიციის ძალების წარმომადგენლებიც კი გაგზავნა ოკუპირებულ ტერიტორიებზე საპოლიციო უფლებამოსილების შესასრულებლად. [...] უფრო მეტიც, 1994 წლის აპრილის ერთ დღეს HRW-ის მკვლევარებმა დათვალეს 5 ავტობუსი, რომელშიც იმყოფებოდა სომხეთის არმიის დაახლოებით 300 ჯარისკაცი, რომლებიც სომხეთიდან მთიან ყარაბაღში მიდიოდა. [...] HRW-ის თანახმად, კანონმდებლობიდან გამომდინარე, სომხეთის არმიის დანაყოფების მონაწილეობამ აზერბაიჯანში, სომხეთი კონფლიქტის მხარე გახადა და ეს ომი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად აქცია.

[...]

62. განმცხადებლებმა მიუთითეს სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერებისა და დამკვირვებლების განცხადებებზე. მაგალითად, ბატონმა რობერტ ჟოჰარიანმა, იმ დროისთვის “მერ”-ის პრემიერ მინისტრმა სომხურ გაზეთ “გოლოს არმენიისთან” 1994 წლის თებერვალში განაცხადა, რომ სომხეთი მთიან ყარაბაღს აწვდიდა ანტისაჰაერო იარაღს. [...]

63. სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის (IISS) წლიურ ანგარიშში “სამხედრო ბალანსი” 2002, 2003 და 2004 წლებისთვის შეფასებული იყო, რომ მთიან ყარაბაღში მყოფი 18 000 სამხედრო პირიდან 8 000 სომხეთის პერსონალი იყო. იგივე ინსტიტუტის 2013 წლის ანგარიშში ასევე გაცხადებული იყო, რომ “1994 წლიდან სომხეთი აკონტროლებდა მთიანი ყარაბაღის დიდ ნაწილს და აზერბაიჯანის შვიდ მოსაზღვრე რეგიონს, რომელთაც ხშირად ‘ოკუპირებული ტერიტორიები’ ეწოდება” [...].

[...]

65. 2005 წლის 14 სექტემბრის ანგარიშში “მთიანი ყარაბაღი: კონფლიქტის საწყისები” საერთაშორისო კრიზის ჯგუფმა (ICG) შემდეგი განაცხადა “მერ”-ში შეიარაღებული ძალების შესახებ (გვ. 9-10):

[...] დამოუკიდებელი შეფასების თანახმად [ბატონი გირაგოსიანისგან], ჯარში მსახურობს 8 500 ყარაბაღელი სომეხი და 10 000 სომეხი. ...

ამასთან მრავალი წვეული და საკონტრაქტო ჯარისკაცი სომხეთიდან აგრძელებს სამსახურს მთიან ყარაბაღში. (დე ფაქტო) თავდაცვის მინისტრი აღიარებს, რომ მისი სამხედრო ძალების 40 პროცენტი შედგება სამხედრო საკონტრაქტო პერსონალისგან, მათ შორის სომხეთის მოქალაქეებისგან. [...] ყოფილმა წვეულებმა ერევნიდან და სომხეთის სხვა ქალაქებიდან “კრიზისის ჯგუფს” განუცხადეს, რომ გაწვევის ბიუროებში გამოცხადებისთანავე მთიან ყარაბაღში და ოკუპირებულ რაიონებში დაუყოვნებლივ მათი გაგზავნა სავარაუდოდ თვითნებურად მოხდა. ისინი უარყოფდნენ, რომ მოხალისეობრივად გადაწყვიტეს მთიან ყარაბაღში ან მიმდებარე ოკუპირებულ ტერიტორიებზე გამგზავრება. მათ რაიმე ფულადი წახალისება არ მიუღათ სომხეთის გარეთ სამსახურისთვის და მათ ერთგვაროვნად გაიარეს სამხედრო სამსახური მთიან ყარაბაღში, მთიანი ყარაბაღის სამხედრო სარდლობის დაქვემდებარებაში. [...]

სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის სამხედრო ძალებს შორის ინტეგრაციის მაღალი მაჩვენებელია. სომხეთის მაღალი თანამდებობის პირები აღიარებენ, რომ ისინი აწვდიან აღჭურვილობისა და იარაღის ძირითად ნაწილს. მთიანი ყარაბაღის თანამდებობის პირები ასევე აღიარებენ, რომ სომეხი ოფიცრები ეხმარებიან სწავლებასა და

სპეციალური უნარებით აღჭურვაში. თუმცა, სომხეთი ამტკიცებს, რომ მისი არმიის არცერთი დანაყოფი არ იმყოფება მთიან ყარაბაღში ან მის მიმდებარე ოკუპირებულ ტერიტორიებზე.”

[...]

66. 2007 წლის 19 აპრილს ავსტრიულმა გაზეთმა “Der Standard” გამოაქვეყნა ინტერვიუ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, ბატონ ვართან ოსკანიანთან. ბატონმა ოსკანიანმა სადავო ტერიტორიები დანამდვილებით მოიხსენია როგორც “ამჟამად სომხეთის მიერ კონტროლირებული ტერიტორიები”.

რამდენიმე დღის შემდეგ სომხეთის საელჩომ ავსტრიაში გაავრცელა პრეს-რელიზი, რომელშიც გაცხადებული იყო, რომ ბატონი ოსკანიანის განცხადება არასწორად განიმარტა და სინამდვილეში მან თქვა “ამჟამად სომხების მიერ კონტროლირებული ტერიტორიები”.

[...]

70. [...] ევროპული პარლამენტი რეკომენდაციას წევს, რომ ევროკავშირსა და სომხეთს შორის ასოცირების შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებები დაუკავშირდეს მზაობას “მთიანი ყარაბაღის მიმდებარე ტერიტორიიდან სომხეთის სამხედრო ძალების გაყვანასთან და მათი აზერბაიჯანის კონტროლის ქვეშ დაბრუნებასთან მიმართებით” და “მოუწოდებს სომხეთს შეწყვიტოს რეგულარული არმიის წვეულთა გაგზავნა მთიან ყარაბაღში” (ევროპული პარლამენტის 2012 წლის 18 აპრილის რეზოლუცია, რომელიც მოიცავს ევროპული პარლამენტის რეკომენდაციებს საბჭოს, კომისიისა და ევროპული საგარეო საქმეთა სამსახურის მიმართ ევროკავშირსა და სომხეთს შორის ასოცირების შეთანხმების მოლაპარაკებების თაობაზე).

[...]

86. განმცხადებლებმა და აზერბაიჯანის ხელისუფლებამ განაცხადეს, რომ სახეზეა სომხეთის ხელისუფლების პოლიტიკა, რომლითაც მოუწოდებს მაცხოვრებლებს სომხეთიდან და უახლოეს პერიოდში სირიიდან, “მყრ“-ში გადასახლდნენ.

[...]

IV. შესაბამისი საერთაშორისო სამართალი

96. მიწის გამო ომის კანონებისა და ჩვეულებების შესახებ ჰააგის 1907 წლის 18 ოქტომბრის რეგულაციების (შემდგომში “1907 წლის ჰააგის რეგულაცია”) 42-ე მუხლი აგრესიულ ოკუპაციას განმარტავს [...]

[...]

კანონმდებლობა

[...]

IV. სომხეთის რესპუბლიკის იურისდიქცია

A. მხარეთა წერილობითი მოსაზრებები

1. განმცხადებლები

152. განმცხადებლებმა განაცხადეს, რომ სომხეთის რესპუბლიკას ეფექტიანი კონტროლი გააჩნდა მთიან ყარაბაღზე და მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ კი ლაჩინის რაიონზე და რომ გასაჩივრებული საკითხები სომხეთის იურისდიქციაში ექცეოდა კონვენციის 1-ელი მუხლის შესაბამისად. საპირისპიროდ ამისა ამგვარი იურისდიქცია მომდინარეობდა სომხეთის ავტორიტეტიდან და კონტროლიდან იმ ტერიტორიაზე, რაც მას ქონდა წარმომადგენლების მეშვეობით. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ ამ საკითხზე სასამართლოს პრეცედენტული სამართალი დამკვიდრებული იყო და მიუთითა საქმეებზე *ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ (Loizidou v. Turkey)* [...], *ილაშკუ და სხვები მოლდოვეთისა და რუსეთის წინააღმდეგ (Ilaşcu and Others v. Moldova and Russia)* ([დიდი პალატა], # 48787/99, ECHR 2004-VII) და *ალ-სკეინი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Al-Skeini and Others v. the United Kingdom)* ([დიდი პალატა], # 55721/07, ECHR 2011). რაც შეეხება მტკიცების ტვირთს, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ტესტი არ იყო “გონივრულ ეჭვს მიღმა”, არამედ წინამდებარე საქმეზე არსებობდა იმ ფაქტის პრეზუმპცია, რომ სომხეთს იურისდიქცია გააჩნდა აღნიშნულ ტერიტორიებზე, პრეზუმპცია, რომელიც მოპასუხე ხელისუფლებამ ვერ გააბათილა.

155. განმცხადებლების ინფორმაციით, კონფლიქტში მონაწილეობისთვის სამხედრო დანაყოფების გამოყოფის გარდა სომხეთი მთიან ყარაბაღს მატერიალურად ეხმარებოდა. ფაქტიურად მათ მთიან ყარაბაღს მიაწოდეს მათი ბიუჯეტის 90

%, უპროცენტო კრედიტების სახით. ეს კრედიტები ფინანსური დახმარება იყო, რასაც წვლილი შექონდა სომხეთის ეფექტიან კონტროლში მთიან ყარაბაღსა და მიმდებარე ტერიტორიებზე. [...]

156. უფრო მეტიც, სომხეთის რესპუბლიკა მთიან ყარაბაღს პოლიტიკურ მხარდაჭერას უცხადებდა და კვლავ უცხადებს. [...]

157. განმცხადებლებმა ასევე განაცხადეს, რომ მთიან ყარაბაღში მოქმედებდა სომხეთის მრავალი კანონი და მთავარ ვალუტას სომხური დრამი წარმოადგენდა. უფრო მეტიც, საზღვარგარეთ მგზავრობისთვის მთიანი ყარაბაღის მოსახლეობაზე გაიცემოდა სომხური პასპორტები.

2. მოპასუხე ხელისუფლება

158. სომხეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ სომხეთის რესპუბლიკის იურისდიქცია არ ვრცელდება მთიანი ყარაბაღისა და მიმდებარე ტერიტორიებზე; შესაბამისად, სომხეთს ვერ ექნებოდა და არ ქონდა ეფექტიანი კონტროლი ან რაიმე საჯარო უფლებამოსილება მის ტერიტორიებზე. მათი აზრით ეფექტიანი კონტროლი ითვალისწინებდა კონტროლირებად ტერიტორიაზე სპეციფიურ ოპერაციებზე დეტალურ მითითებებს ან კონტროლს, მათი დაწყებისა და შეწყვეტის ასევე მათი კურსის განსაზღვრის უფლებამოსილებით. [...] უფრო მეტიც, მხოლოდ მხარდამჭერი როლი, რასაც სომხეთი ასრულებდა “მერ”-ასთან მიმართებით არსებითად განსხვავდებოდა ჩრდილოეთ კვიპროსში მონაწილე თურქი ჯარისკაცების რიცხოვნობისგან ან ტრანსდნესტრიაში განლაგებული რუსული სამხედრო არსენალის ზომისგან (რაც დადგინდა საქმეზე *ლოიზიდუ (Loizidou)* და *ილაშკუ და სხვები (Ilascu and Others)* [...]) და არანაირი გონივრული დეფინიციის ფარგლებში არ უტოლდება ეფექტიან კონტროლს.

[...]

160. მოპასუხე სახელმწიფომ ასევე განაცხადა, რომ სომხეთს მონაწილეობა არ მიუღია მოგვიანებით მიმდინარე რომელიმე სამხედრო მოქმედებებშიც. [...] სომხეთი ჩართული იყო ომში მხოლოდ იმ ფარგლებში რა ფარგლებშიც იცავდა ის თავს აზერბაიჯანის თავდასხმებისგან, სომხეთის აღიარებული საზღვრების ფარგლებში. თუმცა, ვინაიდან სომხეთსა და “მერ”-ას საერთო მტერი ყავდათ, მათი სამხედრო ძალები სხვადასხვა გზით თანამშრომლობდნენ.

163. სომხეთის ხელისუფლების აზრით, “მერ” იყო სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელსაც გააჩნდა საერთაშორისო სამართლით დადგენილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ყველა მახასიათებელი. [...]

164. [...] სომხეთს გააჩნდა გარკვეული ზეგავლენა, “მერ”-ისთვის პერიოდული ფინანსური და სხვაგვარი დახმარების გათვალისწინებით. ასევე, როგორც კარგი მეზობელი და მეგობარი, ის მათ ეხმარებოდა თავისი მხრიდან ლაჩინის რაიონში ჰუმანიტარული კორიდორის შენარჩუნებაში. თუმცა, სომხეთის რესპუბლიკა და “მერ” სხვადასხვა ქვეყანა იყო.

3. აზერბაიჯანის ხელისუფლება, მესამე მხარე

165. აზერბაიჯანის ხელისუფლება დაეთანხმა განმცხადებლებს, რომ სომხეთის რესპუბლიკას ეფექტიანი კონტროლი გააჩნდა მთიან ყარაბაღსა და მიმდებარე ტერიტორიებზე, მათ შორის ლაჩინის ტერიტორიაზე. [...] “მერ”-ის თავდაცვითი ძალები რაიმე ფორმით იარსებებდა სომხეთის მხრიდან ინტენსიური მხარდაჭერის გარეშე, რაც გამოიხატებოდა მაგალითად იარაღში, აღჭურვილობაში, სწავლებასა და ყველაფერთან ერთად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ბაზირებული ჯარისკაცების დიდი ნაწილის მიწოდებით, თუ უმრავლესობის არა.

B. სასამართლოს შეფასება

167. მართალია სახელმწიფოს იურისდიქციის კომპეტენცია პირველ ყოვლისა ტერიტორიულია, იურისდიქციის კონცეფცია კონვენციის 1-ელი მუხლის მნიშვნელობისთვის არ შემოიფარგლება მაღალი ხელშემკვრელი მხარის ეროვნული ტერიტორიით და სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი შესაძლოა დადგეს მათი ტერიტორიის გარეთ მათივე სახელმწიფო ორგანოების ქმედებების ან უმოქმედების გამო. [...]

1. ექსტრატერიტორიული იურისდიქცია

168. სასამართლომ აღიარა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ ექსტრატერიტორიული იურისდიქციით სარგებლობა როდესაც ეს სახელმწიფო შესაბამის ტერიტორიაზე და მის მაცხოვრებლებზე საზღვარგარეთ ეფექტიან კონტროლს ახორციელებს სამხედრო ოკუპაციის შედეგად ან ამ ტერიტორიის ხელისუფლების თანხმობით, მოწვევით ან აღიარებით სარგებლობს ყველა იმ საჯარო უფლებამოსილებით, რითაც როგორც წესი ეს ხელისუფლება სარგებლობს. [...]

2. აღნიშნული პრინციპების გავრცელება ამ საქმის ფაქტებზე

169. [...] საქმის ფაქტებთან დაკავშირებით გადასაწყვეტია სომხეთის რესპუბლიკა სარგებლობდა და სარგებლობს თუ არა ეფექტიანი კონტროლით ხსენებულ ტერიტორიებზე და შესაბამისად შესაძლებელია თუ არა მისი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება გაცხადებული დარღვევისთვის. როგორც სასამართლომ აღნიშნა საქმეზე კატანი და სხვები (*Catan and Others*) [...], ეს შეფასება პირველ ყოვლისა დამოკიდებული იქნება სამხედრო მონაწილეობაზე, ასევე სხვა ინდიკატორები, როგორცაა ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერა შესაძლოა იყოს ასევე რელევანტური.

170. მართალია განმცხადებლები ცხოვრობდნენ ლაჩინის რაიონში, იურისდიქციის საკითხი არ ეხება მხოლოდ ამ ტერიტორიას. [...] იმის დასადგენად, წინამდებარე საქმეზე სომხეთს ქონდა თუ არა იურისდიქცია, აუცილებელია იმის შეფასება ახორციელებს თუ არა ის ეფექტიან კონტროლს მთიან ყარაბაღზე და მთლიანობაში მიმდებარე ტერიტორიებზე.

[...]

(a) სამხედრო ჩართულობა

172. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი სრულმასშტაბიან ომში გადაიზარდა 1992 წელს, მაგრამ დაიწყო რამდენიმე წლით ადრე, მთიანი ყარაბაღის სომხეთთან ინტეგრაციის მოწოდებით ორივე მხრიდან. [...] ნათელია, რომ კონფლიქტის საწყის ეტაპზე სომხეთის სსრ-მ და სომხეთის რესპუბლიკამ მყარად დაუჭირა მხარი მთიანი ყარაბაღის სომხეთში ინტეგრაციას ან ალტერნატივის სახით, მის დამოუკიდებლობას აზერბაიჯანისგან.

173. სასამართლოს ხელთ არსებული მასალა არ იძლევა და ვერც იქნება მოლოდინი, რომ უზრუნველყოფს დასკვნით მტკიცებულებას იმ შეიარაღებული ძალების შემადგენლობის შესახებ, რომელმაც მოახდინა მთიანი ყარაბაღისა და შვიდი მიმდებარე რაიონის ოკუპირება და შეინარჩუნა კონტროლი 1992 წლის დასაწყისში ომის გაჩაღებიდან 1994 წლის მასში, ცეცხლის შეწყვეტამდე. [...]

174. უფრო მეტიც, სასამართლოს აზრით რთულად წარმოსადგენია, რომ მთიანი ყარაბაღს, ერთეულს 150 000-ზე ნაკლები ეთნიკური სომეხი მოსახლით, სომხეთის მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარების გარეშე შეეძლო თავდაცვითი ძალების მობილიზება 1992 წლის დასაწყისში, რომელმაც აზერბაიჯანის, დაახლოებით შვიდ მილიონიანი მოსახლის მყოფი ქვეყნის წინააღმდეგ არა მხოლოდ დაამყარა კონტროლი ყოფილ “მყო”-ზე, არამედ ასევე 1993 წლის ბოლომდე სრულად თუ დიდწილად დაიპყრო შვიდი მიმდებარე აზერბაიჯანული რაიონი.

176. [...] 2005 წლის იანვარში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ აღნიშნა რა სომხური სამხედრო ძალების მიერ “აზერბაიჯანის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის” ოკუპირება, კვლავ დაადასტურა, რომ ტერიტორიის დამოუკიდებლობა და სეცესია ვერ მიიღწევა “ამგვარი ტერიტორიის სხვა სახელმწიფოს მიერ დე ფაქტო ანექსიის” რიყრაფზე [...]. ICG-ის 2005 წლის სექტემბრის ანგარიშში მოცემულია დასკვნა, სომეხი ჯარისკაცებისა და სამხედრო თანამდებობის პირთა ჩვენებების საფუძველზე, რომ “სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის სამხედრო ძალებს შორის ინტეგრაციის მაღალი ხარისხია”. “მყო”-ში სომეხი ჯარისკაცების მიერ სამხედრო სამსახურის გავლაზე მითითებები ასევე ხელმისაწვდომია ამ სასამართლოს წინაშე თუ სხვაგან წარდგენილ საქმეებზე [...].

[...]

178. [...] კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სომხეთის მოქმედი პრეზიდენტის, ბატონი სერჟ სარქისიანის საჯარო გამოსვლა თავდაცვის სამინისტროს ლიდერების მისამართით 2013 წლის იანვარში, რომელშიც მან განაცხადა, რომ სომხეთის საგარეო პოლიტიკის მიზანია მთიანი ყარაბაღის ომში “ჩვენი არმიის” გამარჯვების სამართლებრივი აღიარების მიღწევა [...]. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე საქმეზე სომხეთის ხელისუფლებამ 1994 წლის სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმებაზე მითითებით აღიარა, რომ სომხეთის არმია და “მყო”-ის თავდაცვის ძალები თანამშრომლობენ თავდაცვით აღიანსში.

179. მართალია ბატონი ჯირაირ სეფილიანი ვერ მიიჩნევა სომხეთის რესპუბლიკის ოფიციალურ წარმომადგენლად, როგორც ომის პერიოდში გამოჩენილი პოლიტიკური ფიგურისა და ყოფილი სამხედრო მეთაურის საჯარო განცხადება 2008 წლის ინტერვიუში სასამართლოსთვის გასათვალისწინებელია: “მთელმა მსოფლიომ იცის, რომ “მყო”-ის არმია სომხეთის შეიარაღებული ძალების ნაწილია” [...].

[...]

180. “მყო”-ში სამხედრო სამსახურში მყოფი სომეხი ჯარისკაცების რიცხვი სადავოა; მოპასუხე ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მათი რიცხვი 1500-ს არ აღემატება, ხოლო განმცხადებლები ეყრდნობიან IISS -ისა და ICG -ის მიერ

2002-2005 წლებში წარმოდგენილ ციფრებს, 8 000 ან 10 000 სომეხი სამხედრო პირი მსახურობს მთიან ყარაბაღში [...]. სასამართლო საჭიროდ არ თვლის ამ საკითხის გადაწყვეტას, რადგანაც ზემოთ ჩამოთვლილ მრავალ ანგარიშსა და საჯარო გამოსვლაზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნევს, რომ სომხეთის რესპუბლიკა საკუთარი სამხედრო წარმომადგენლობით და სამხედრო აღჭურვილობისა და ექსპერტიზის მიწოდებით მნიშვნელოვნად იყო ჩართული მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში ადრეული დღეებიდანვე. ეს სამხედრო მხარდაჭერა გადამწყვეტი იყო და კვლავ არის, დაპყრობისთვის და სადავო ტერიტორიებზე განგრძობადი კონტროლისთვის და მტკიცებულება, მინიმუმ 1994 წლის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება, დამაჯერებლად წარმოაჩენს, რომ სომხეთისა და “მყრ”-ის სამხედრო ძალები მეტად ინტეგრირებულია ერთმანეთთან.

(b) სხვა მხარდაჭერა

[...]

182. [...] კანონმდებლობასთან და მართლმსაჯულებასთან მიმართებით იკვეთება ინტეგრაციის სხვა მტკიცებულებაც. სომხეთის მთავრობამ აღიარა, რომ “მყრ”-ის რამდენიმე კანონი სომხეთის კანონმდებლობიდან არის. უფრო მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო საქმეები *ზალიანი, სარქისიანი და სერებიანი სომხეთის წინააღმდეგ (Zalyan, Sargsyan and Serobyany v. Armenia)* [...] უთითებს არა მხოლოდ სომხეთის სამხედრო ძალების არსებობას მთიან ყარაბაღში, არამედ ასევე სომხეთის სამართალდამცავი ორგანოების მოქმედებას და სომხეთის სასამართლოების იურისდიქციის გავრცელებას ამ ტერიტორიაზე. [...]

183. და ბოლოს, “მყრ”-ისთვის გაწეული ფინანსური დახმარება სომხეთის მხრიდან ან მისი გავლით, არსებითია. [...]

(c) დასკვნა

186. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ააშკარავებს, რომ სომხეთის რესპუბლიკას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის საწყისი ეტაპიდანვე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ზეგავლენა ქონდა “მყრ”-ზე, რომ ეს ორი ერთეული მაღალი ხარისხით ინტეგრირებულია ფაქტიურად ყველა მნიშვნელოვან საკითხში და ეს ვითარება დღემდე სახეზეა. სხვა სიტყვებით, “მყრ” და მისი ადმინისტრაცია არსებობს სომხეთის მიერ მისთვის გაწეული სამხედრო, პოლიტიკური, ფინანსური და სხვაგვარი მხარდაჭერის ხარჯზე, რის შედეგადაც სომხეთს ეფექტიანი კონტროლი გააჩნია მთიან ყარაბაღზე და მიმდებარე ტერიტორიებზე, მათ შორის ლაჩინის რაიონზე. შესაბამისად სადავო საკითხები ექცევა სომხეთის იურისდიქციაში კონვენციის 1-ელი მუხლის მიზნებისთვის.

187. შესაბამისად, მოპასუხე სახელმწიფოს პროტესტი მთიან ყარაბაღზე და მიმდებარე ტერიტორიებზე სომხეთის რესპუბლიკის იურისდიქციასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდეს.

V. კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის სავარაუდო დარღვევა

[...]

A. მხარეთა წერილობითი მოსაზრებები

1. განმცხადებლები

189. განმცხადებლებმა განაცხადეს, რომ 1-ელი დამატებითი მუხლის 1-ელი მუხლის საფუძველზე მათი უფლებების დარღვევა სომხეთის რესპუბლიკის მიერ სახელისუფლებო უფლებამოსილების განხორციელების პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა. ისინი შიშობდნენ, რომ მათი ქონება განადგურდა ან დატაცებულ იქნა მალევე მას შემდეგ, რაც ისინი აიძულეს დაეტოვებინათ ლაჩინის რაიონი. [...]

2. მოპასუხე ხელისუფლება

190. სომხეთის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ განმცხადებლებს არ ეზღუდებოდათ ქალაქ ლაჩინში და მის მიმდებარე სოფლებში შესვლა; [...]

B. სასამართლოს შეფასება

193. განმცხადებლები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ლაჩინის რაიონი 1992 წლის მაისში სამხედრო თავდასხმის შედეგად. [...]

195. უფრო მეტიც, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებიდან ოც წელში კონფლიქტის დროს გადაადგილებული პირები ვერ ახერხებდნენ მთიან ყარაბაღსა და მიმდებარე ტერიტორიებზე დაბრუნებას. [...]

196. შესაბამისად ადგილი ქონდა განმცხადებლების 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლით გათვალისწინებულ უფლებებში ჩარევას, რადგანაც მუდმივად ეზღუდებოდათ თავიანთ ქონებაზე წვდომა და შესაბამისად დაკარგეს

მასზე კონტროლი და რაიმე შესაძლებლობა ესარგებლათ და სარგებელი მიეღოთ მისგან [...]. ეს უტოლდება მათ მიერ საკუთრებით მშვიდობიანად სარგებლობაში ჩარევას.

197. სომხეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ლაჩინის დაკავება და სომხეთსა და მთიან ყარაბაღს შორის სახმელეთო საზღვრის შექმნა კანონისმიერი თავდაცვის აქტი იყო. სასამართლო იზიარებს საჩივრებს, რომ ლაჩინის რაიონი სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობის იყო და რომ არსებობდა მთიანი ყარაბაღისთვის საკვების, მედიკამენტებისა და სხვა აღჭურვილობის მიწოდების საჭიროება. თუმცა, ეს გარემოებები გამოდგებოდა თუ არა ამ ტერიტორიის მაცხოვრებელთა ინდივიდუალურ უფლებებში ჩარევის გამართლებად, ლაჩინის დაკავებას 1992 წლის მაისში პირდაპირი ზეგავლენა არ ქონდა შესასწავლ საკითხთან, რაც გულისხმობს შემდეგს, განმცხადებლების შეუმღებლობა დაბრუნებულიყვნენ და შედეგად განგრძობადი უარი თავიანთ ქონებაზე წვდომაზე შეიძლება თუ არა ჩაითვალოს გამართლებულად.

[...]

201. თუკი შევაჯამებთ განსახილველ პერიოდს, კერძოდ კი 2002 წლის 26 აპრილიდან, არ გამოიკვეთა მიზანი, რაც გამართლებდა განმცხადებლებისთვის მათ საკუთრებაზე წვდომაზე უარს და კომპენსაციის არ არსებობას ამ ჩარევისთვის. შედეგად, სასამართლო ადგენს, რომ ადგილი ქონდა და კვლავ სახეზეა 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის საფუძველზე განმცხადებლების უფლებების დარღვევა, რაზეც სომხეთის რესპუბლიკაა პასუხისმგებელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო

3. 14 ხმით 3-ის წინააღმდეგ ადგენს, რომ გასაჩივრებული საკითხები ექცევა სომხეთის რესპუბლიკის იურისდიქციაში და არ აკმაყოფილებს მოპასუხე სახელმწიფოს წინასწარ პროტესტს იურისდიქციასთან დაკავშირებით;

4. 15 ხმით 2-ის წინააღმდეგ ადგენს რომ ადგილი ქონდა კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის განგრძობად დარღვევას;

[...]

მოსამართლეების პინტოსა და ალბუქერქეს განსხვავებული აზრი

[...]

34. [...] საქმეში *ჭირაღოვი და სხვები სომხეთის წინააღმდეგ (Chiragov and Others v. Armenia)* დიდი პალატის შემადგენლობის უმრავლესობამ არ მიუთითა “ძირითად ფაქტორსა” და “სახმელეთო ჯარების ადგილზე ყოფნის” კრიტერიუმზე და ამის ნაცვლად გამოიყენა სტანდარტი, რომელიც რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობას ეყრდნობოდა და “სამხედრო მხარდაჭერას” მოიცავდა. ამრიგად, არაერთი წინააღმდეგობრივი კრიტერიუმის გამოყენების პროცესში მათ აღარ გამოიყენეს სასამართლოს პრაქტიკაში კარგად ჩამოყალიბებული მიდგომა, რაც უცხო ქვეყნის ტერიტორიის სამხედრო გზით კონტროლს მოჰყვება და ამ გზით უგულვებელყვეს ისეთი ფაქტორები, როგორცაა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო ძალის გამოყენების მასშტაბები და ძალა. ასეთი პოზიცია საკმაოდ პრობლემურია და თავის თავში არ მოიცავს იმ განჭვრეტად საზღვრებს, რაც უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე “ეფექტური კონტროლის” განხორციელების ცნების გამოყენების მიმართ იქნებოდა შესაძლებელი.

“სახმელეთო ჯარების” ცნება, რაც თავის თავში მოიაზრებს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ფიზიკურად ყოფნას, ოკუპაციის არსებობის *sine qua non* მოთხოვნა აღარ არის. ამრიგად, მიიჩნია რა, რომ მთიან ყარაბაღში სომხეთი ახორციელებდა დისტანციურ და დაშორებულ კონტროლს, სასამართლომ გადაუხვია კარგად ჩამოყალიბებული საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლიდან და სახელმწიფოებო სამართლიდან, რომელიც ჰააგის 1907 წლის რეგულაციების 42-ე მუხლს ეფუძნება და რომელიც აღიარებს, რომ არ არსებობს ოკუპაცია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ფიზიკურად ყოფნის გარეშე, რომელიც ანაცვლებს ადგილობრივი მთავრობის ხელისუფლებას და რომელსაც არ ეთანხმება ის სახელმწიფო, რომელსაც ეს ტერიტორია ეკუთვნის.

[...]

48. [...] ამ საკითხის გადაჭრა დაუშვებელია ლაჩინის რეგიონში შესაბამის დროს (1992 წლის 18 მაისს) სამხედრო მოქმედებების კანონიერების სიღრმისეული ანალიზის გარეშე; ამ პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს “მთიანი

ყარაბაღის” სეცესიის კონტექსტი, რომელსაც მოჰყვა მთიან ყარაბაღსა და სომხეთს შორის ჰუმანიტარული კორიდორის გახსნა შეშინებული სომეხი მოსახლეობისთვის და უკვე შემდგომში, სამოქალაქო მოსახლეობის იძულებით გადაადგილება და ამ მიზნით მათი საკუთრების განადგურება.

ლაჩინის კორიდორის, როგორც სეცესიისკენ მიმართული ომის სასიცოცხლო მნიშვნელობის სამხედრო ღონისძიების სამართლებრივი შედეგების გააზრება ცალსახად მნიშვნელოვანი ფაქტორია განმცხადებლების მიერ ლაჩინის რეგიონში საკუთრებისა და ოჯახური ცხოვრების უფლებებით სარგებლობის განგრძობითად შესაძლო შეზღუდვის კანონიერებისა და თანაზომიერების შეფასების პროცესში. ამრიგად, სასამართლოს ამ უფლებებით სარგებლობაში ჩარევის შეფასებისას გადაწყვეტილება არ უნდა მიეღოს ამ “უფლებების ამოსავალი წერტილის” გაანალიზების გარეშე.

49. კონვენციის ფორმულირება რომ გამოვიყენოთ, ამ საქმეში უმთავრესი შეკითხვა, რომელსაც სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობამ ყურადღება არ მიაქცია, ისაა თუ რა ფარგლებში შეიძლება “საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით”, მათ შორის სახელმწიფოების სეცესიის სამართლითა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით შეიზღუდოს კონვენციის I დამატებით ოქმის 1-ლი მუხლის (მეორე წინადადებით) აღიარებული საკუთრების უფლება. ასეთი *renovi* ფაქტობრივი შედეგი ის არის, რომ კონვენციის I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მოქმედება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ განმარტავს სასამართლო *incidenter tantum* სეცესიის სამართალსა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს. როგორ უნდა მიემართებოდეს და მიესადაგებოდეს კონვენციის I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დებულება სეცესიის სამართალსა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს? როგორ უნდა მიესადაგებოდეს კონვენციითა და I დამატებითი ოქმით აღიარებული უფლებები სახელმწიფოს რემედიული სეცესიასა და საფრთხის ქვეშ მყოფი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების თავდაცვის ძალების სამხედრო მოქმედებებს? ამ კითხვებზე პასუხის შემთხვევაში საქმეზე სრულიად განსხვავებული გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული.

დისკუსია:

I. კონფლიქტისა და ტერიტორიების კლასიფიკაცია

1. (პარაგრაფები 18-187)

a. სახეზე იყო თუ არა შეიარაღებული კონფლიქტი მთიან ყარაბაღში? ვრცელდებოდა თუ არა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ლაჩინის რეგიონში? თუ კი, რა სახის იყო კონფლიქტი? ვრცელდებოდა თუ არა ლაჩინის რეგიონში ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი? (დოკუმენტი C, 18-20 პარაგრაფები, 60-86 პარაგრაფები; GC I-IV, მე-2 და მე-3 მუხლები; HR, 42-ე მუხლი)

b. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, აუცილებელია თუ არა, რომ სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები ფიზიკურად იმყოფებოდნენ უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე იმისთვის, რომ ის ოკუპანტ ძალად ჩაითვალოს? განგრძობითად მიიჩნეოდეს ოკუპანტ ძალად? სულ ცოტა, უნდა ახორციელებდეს მანც კონტროლს იმ შეიარაღებულ ძალებზე, რომლებიც უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე კონტროლს ახორციელებენ? ეფექტურ კონტროლს? ზოგად კონტროლს? რა აზრისაა ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო? მოსამართლეები პინტო და ალბურქერქე? (პარაგრაფები 96, 167-187, მოსამართლეების პინტოსა და ალბურქერქეს განსხვავებული აზრი, პარაგრაფი 34; HR, 42-ე მუხლი)

c. როდის სრულდება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოქმედება საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებში? არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებში? ოკუპირებულ ტერიტორიებზე? (GC IV, მე-6 მუხლი; AP I, მე-3 მუხლი)

II. იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებისა და საკუთრების უფლებები

2. (პარაგრაფები 86-201)

a. შესაძლებელია თუ არა, რომ ლაჩინის რეგიონის ოკუპაცია გამართლებული იყოს სამხედრო აუცილებლობით? რემედიული სეცესიით? მნიშვნელოვანია თუ არა ეს საკითხი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიზნებისთვის? ადამიანის უფლებების საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისთვის? შესაძლებელია თუ არა, რომ ლაჩინის რეგიონიდან 1992 წელს აზერბაიჯანელების იძულებით გადაადგილება გამართლებული იყოს ამ საფუძვლებით? შესაძლებელია თუ არა მათ უკან დაბრუნებაზე უარი გამართლებული იყოს ამ საფუძვლებით? (მოსამართლეების პინტოსა და ალბურქერქეს განსხვავებული აზრი, 48-ე და 49-ე პარაგრაფები; AP II, მე-17 მუხლი; საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის შესახებ წითელი ჯვრის

საერთაშორისო კომიტეტის მიერ მომზადებული კვლევა, 129-ე და 130-ე წესები; იძულებით გადაადგილების შესახებ 1998 წლის 11 თებერვლის სახელმძღვანელო პრინციპები, მე-6 პრინციპი; GC IV, 49-ე მუხლი; საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის შესახებ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ მომზადებული კვლევა, 132-ე წესი)

b. შესაძლებელია თუ არა, რომ საგანგებო მდგომარეობით გამართლდეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები? საკუთრებაზე წვდომის შეზღუდვა? საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით? ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით? შესაძლებელია თუ არა, რომ უსაფრთხოების მიზნებით შეიზღუდოს წვდომა ცალკეულ ზონებზე? რა ღონისძიებები უნდა გაატაროს სახელმწიფომ, რომ გაამართლოს ასეთი შეზღუდვები? (HR, 53-ე მუხლი; GC IV, 53-ე მუხლი; საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის შესახებ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ მომზადებული კვლევა, 51-ე წესი)

c. როგორ განიმარტება საკუთრება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით? ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით? ამ კუთხით, რა წესებს იყენებს ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო?

d. ეწინააღმდეგება თუ არა საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს სომხეთის მთავრობის პოლიტიკა, რომლითაც ის ახალისებს სომხებს, რომ გადაცხოვრდნენ ლაჩინის რეგიონში? (86-ე პარაგრაფი; GC IV, 49-ე მუხლი)

e. იყენებს თუ არა ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო 1949 წლის ქენევის IV კონვენციის 49-ე მუხლს ლაჩინის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ აზერბაიჯანელებთან მიმართებით? თუ არა, უნდა გამოეყენებინა თუ არა ეს დებულება? (GC IV, 49-ე მუხლი; AP II, მე-17 მუხლი)

f. მოსამართლეების პინტოსა და ალბუქერქეს აზრით, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის რომელ წესს შეეძლო გაემართლებინა ბატონი ჩირალოვისთვის თავის საკუთრებაზე წვდომის შეზღუდვა? (მოსამართლეების პინტოსა და ალბუქერქეს განსხვავებული აზრი, 49-ე პარაგრაფი)